

**სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,
განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია**

მუხლი 1. ზოგადი დებილება

1. დოკუმენტი შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივნისის №121/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - კოლეჯის „ლაკადა“ წესდების შესაბამისად.
2. წესი არეგულირებს სსიპ - კოლეჯის „ლაკადა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა, შეფასება - გაუჯობებს პროცედურებს.

მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის პროცედურა

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზნით, კოლეჯის პროფორინტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი მოიპოვებს და ამუშავებს შემდეგი სახის ინფორმაციას:
ა) კურსდამთავრებულთა ბაზის ანალიზს - ახალ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის სურვილისა და დასაქმების შესახებ; ბ) სტატისტიკურ მონაცემებს დასაქმების მაჩვენებლების მიხედვით;
გ) შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და დამსაქმებელთა კონკრეტულ მოთხოვნებს და ინიცირებით მიმართავენ კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ.
2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება ხორციელდება კოლეჯის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხარისხის მართვის მენეჯერის ხელმძღვანელობით, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროფესიული სტანდარტის (ჩარჩო დოკუმენტი) საფუძველზე.
3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი მოიცავს შემდეგი ტიპის მოდულებს: ზოგადი, პროფესიული, საერთო პროფესიული და არჩევითი მოდულები.
4. პროფესიული, საერთო პროფესიული მოდულები სავალდებულოა და მათი შეცვლის უფლება დაწესებულებას არ გააჩნია.
5. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია ითვალისწინებდეს არჩევითი სტატუსის მოდულებს, ამავე პროგრამის ზოგადი და პროფესიული მოდულების კრედიტთა საერთო მოცულობის არაუმეტეს 20%-ისა.
6. არჩევითი კოლეჯი უფლებამოსილია არ გაითვალისწინოს შეთავაზებული არჩევითი მოდულები, შეარჩიოს და განავითაროს მათ. ეს შესაძლოა იყოს სხვა პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი მოდულები, მათ შორის სხვადასხვა უცხოური ენა. არჩევითი მოდულები ლოგიკურად უნდა იყოს ბმაში პროგრამასთან, რაც საჭიროების შემთხვევაში უნდა იქნას დასაბუთებული.

კოლეჯი უფლებამოსილია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა განახორციელოს არჩევითი მოდულების გარეშე.

7. პროგრამის დანართის სახით თან უნდა ახლდეს სასწავლო გეგმა. სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ უნდა იყოს 30 საათზე ნაკლები და 40 საათზე მეტი (დატვირთვაში იგულისხმება დამოუკიდებელი საათებიც), გარდა იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისა, რომელშიც ინტეგრირებულია სრული ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები.
8. სასწავლო გეგმა უნდა იძლეოდეს ნათელ სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული უნდა იქნას მოდულებზე დაშვების წინაპირობები.
9. ერთი და იმავე პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიდგომით, რომელთაგან შესაძლოა ერთი განისაზღვროდეს პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების 50% ხოლო მეორე - ინტეგრირებული და არაინტეგრირებული მიდგომით. შემუშავებულ პროგრამაში მითითებულ უნდა იყოს პროგრამის განხორციელების მიდგომა.
10. შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უნდა ითვალისწინებდეს „ქართული ენა A2/B1“ მოდულის განხორციელებას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.
11. განსხვავებული (ინტეგრირებული) მიდგომით განხორციელების შემთხვევაში, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას უნდა ახლდეს ორი სასწავლო გეგმა.
12. პროგრამას დანართის სახით თან უნდა ახლდეს ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შესახებ, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და საწარმოო პრაქტიკის/პრაქტიკული პროექტის/სასწავლო საწარმოს გავლის ობიექტთან დადებული მემორანდუმი/ხელშეკრულება და პროგრამის ბიუჯეტი.

მუხლი 3. მოდულის შემუშავება

1. მოდული არის პროგრამის დანართი და ის მტკიცდება ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად.
2. მოდულები შედგება სამი ნაწილისგან: ზოგადი ინფორმაცია, სტანდარტული ჩანაწერები და დამხმარე ჩანაწერები.
3. მოდულის პირველ (ზოგადი ინფორმაცია) და მეორე (სტანდარტული ჩანაწერები) ნაწილებში რაიმე ცვლილების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელია.
4. დამხმარე ჩანაწერები ატარებენ სარეკომენდაციო ხასიათს და შესაბამისად, დასაშვებია მათში ცვლილებების შეტანა, სათანადო დასაბუთებით
5. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს თემატიკა მხოლოდ მისაღწევი სწავლის შედეგების კონტექსტში ან შეცვალოს სწავლის მეთოდები საკუთარი შეხედულებისამებრ. სწავლის შედეგების შეფასება შესაძლებელია მოხდეს როგორც ცალ-ცალკე, ისე რამდენიმე სწავლის შედეგის ერთად (მათ შორის, ერთი ინსტრუმენტით
6. მოდულის სწავლის შედეგის მიღწევა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი მტკიცებულებებით. მოდულის შეფასების მიმართულებები და ინსტრუმენტები უნდა ცხადყოფდეს თუ რა მიმართულებით უნდა შეფასდეს პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევა. კოლეჯი უფლებამოსილია შეცვალოს შეფასებისათვის გამოყენებული ინსტრუმენტი, რაც შესაფასებელი სწავლის შედეგის ადეკვატური უნდა იყოს და სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური მტკიცებულებების მოპოვების შესაძლებლობას იძლეოდეს.
7. ცენტრის მიერ დამტკიცებული/კოლეჯის მიერ შემუშავებული მოდული მოიცავს სასწავლო ლიტერატურისა და რეკომენდებული/შემოთავაზებული წყაროების ჩამონათვალს. კოლეჯი ვალდებულია უზრუნველყოს მის საბიბლიოთეკო ფონდში არსებული ყველა სახის ლიტერატურის ხელმისაწვდომობა პროფესიული სტუდენტებისათვის.

8. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (შემდგომში - სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პროფესიული სტუდენტებისათვის საჭიროების შემთხვევაში, ინკლუზიური პროფესიული განათლების ჩართულობით, შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა მოდულის მოდიფიცირების/აკომოდირების მიზნით.

მუხლი 7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება

1. წინამდებარე წესი უზრუნველყოფს ხელი შეუწყოს კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილ, ხარისხიან და ეფექტურ განხორციელებას.
2. სსიპ - კოლეჯს „ლაკადა“ შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომელსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად განათლების ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმების საშუალებით.
3. შიდა მექანიზმის სისტემა ძირითადად დაფუძნებულია პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე.
პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით კოლეჯი:

ა) შეიმუშავებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების სისტემას;

ბ) რის გამოც, ადგენს პროგრამის შეფასებისათვის სხვადასხვა სახის დოკუმენტაციას (პროფესიულ სტუდენტთა კითხვარებს, პროფესიული განათლების მასწავლებლების კითხვარებს, კურსდამთავრებულთა სტატისტიკას, დამსაქმებელთა კითხვარებს, ინტერვიუს შედეგებს, დასწრების ოქმებს მოდულის შიდა შეფასებისათვის).

4. შეფასება ტარდება გამოკითხვის მეთოდით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი სრულყოფის მიზნით, მოდულური პროგრამების განხორციელების შეფასების შედეგების საფუძველზე, კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი შეიმუშავებს რეკომენდაციებს და წარუდგენს კოლეჯის დირექტორს.
5. ხარისხის მართვის მენეჯერი აფასებს, პროგრამის განხორციელებისას გამოყენებული სასწავლო, ტექნიკური საშუალებებისა და დამხმარე თვალსაჩინოებების არსებობის საკითხს, რაც სწავლების მეთოდების შესაბამისი უნდა იყოს.
6. ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ ფასდება, რამდენად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებსა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს ინტერაქტიურ სწავლა-სწავლების პროცესს.